ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #145/ბ

ქ. მცხეთა

20 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ავთანდილ დავლიანიძე შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ დავლიანიძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1. სამეურნეო მასალის (CPV 44500000) – 118,50ლ. ცემენტის (CPV 44111200) – 22ლ. კარბიდის (CPV 24311120) – 10,92ლ. ელექტროდის (CPV 31711140) – 30ლ. საიზოლაციო ლენტის (CPV 31651000) – 7,50ლ. სამუშაო ხელთათმანის (CPV 18141000) – 6,50ლ. შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 195,42 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 42თ) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე

ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე რობერტ იმერლიშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახური
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ს/კ 436036246

დირექტორი: ნ.კაპანაძე

„მიმწოდებელი"

ი/მ ავთანდილ დავლიანიძე
ს/კ 31001005329

ა/ა GE45BG0000000317131800
ბანკი: საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22

დირექტორი: ა.დავლიანიძე

20 ოქტომბერი 2016წ.

ქ.მცხეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ თვითმმართველ ქალაქ „ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახურსა და ი/მ ავთანდილ დავლიანიძეს შორის 2016 წლის 20 ოქტომბერს გამარტივებული შესყიდვის სამუალებით გაფორმებული N145/გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: ნ.კაპანაძე

43603624 6

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის
საწყობის გამგე: რ.იმერლიშვილი